

**სს ხალიკ ბანკი საქართველოში**  
**საბანკო ანგარიშის მემშვეობით საგადახდო ოპერაციების წარმოების**  
**ზოგადი წესები და პირობები**

1. სს ხალიკ ბანკი საქართველო (შემდგომში **ბანკი**) არის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული კომერციული ბანკი, საბანკო ლიცენზიის №0110246, მისი საიდენტიფიკაციო ნომერია: 205236537, რეგისტრაციის ნომერი: **ბანკის** სათაო ოფისის ოფიციალური მისამართია საქართველო, ქ. თბილისი, მ.კოსტავას ქუჩა №74, ხოლო ფაქტიური: საქართველო, ქ. თბილისი, ჟ.შარტავს ქუჩა №40, ვებ გვერდის მისამართი: [www.halykbank.ge](http://www.halykbank.ge), ელექტრონული ფოსტის მისამართი: [www.info@hbg.ge](mailto:www.info@hbg.ge).
2. ბანკის საზედამხედველო ორგანოა საქართველოს ეროვნული ბანკი, რომლის ვებ გვერდის მისამართია: [www.nbg.ge](http://www.nbg.ge). ბანკის საზედამხედველო ორგანო არც ერთ შემთხვევაში არ არის პასუხისმგებელი ბანკის, როგორც საგადახდო მომსახურების პროვაიდერის მიერ ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვან შესრულებაზე.
3. საგადახდო მომსახურების მიღება შესაძლებელია ბანკის ფილიალებში ან დისტანციურად, ინტერნეტ ბანკის მეშვეობით. ბანკის ფილიალების მისამართები განთავსებულია ბანკის ვებ გვერდზე: [www.halykbank.ge](http://www.halykbank.ge), ხოლო ინტერნეტ ბანკი ხელმისაწვდომია მისამართზე: [www.myhalyk.ge](http://www.myhalyk.ge).
4. ბანკი ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის საბანკო ანგარიშების გახსნას და მათი მემშვეობით საბანკო მომსახურების, მ.შ. საგადახდო მომსახურების გაწევას ახორციელებს „საბანკო მომსახურების გაწევის შესახებ“ გენერალური ხელშეკრულების/ხელშეკრულების დადებით და სხვა დაკავშირებული გარიგებებით გათვალისწინებული წესებისა და პირობების საფუძველზე.
5. საბანკო მომსახურების/საბანკო პროდუქტის (შემდგომში „საბანკო მომსახურება“) მიღებისათვის/სარგებლობისათვის პირმა უნდა მიმართოს ბანკს შესაბამისი განაცხადით და/ან დადოს ბანკთან შესაბამისი გარიგება.
6. განაცხადით მოთხოვილ საბანკო მომსახურების გაწევას ბანკი უზრუნველყოფს განაცხადის აქცეპტისა და მოთხოვილი საბანკო მომსახურებისათვის აუცილებელი ყველა წინაპირობის კლიენტის მიერ დაკმაყოფილების შემთხვევაში.
7. ბანკის მიერ კლიენტის განაცხადის აქცეპტირების (დაკმაყოფილების) შემთხვევაში კლიენტს გაეწევა მის მიერ განაცხადით მოთხოვილი საბანკო მომსახურება ბანკთან გაფორმებული გენერალური ხელშეკრულების/ხელშეკრულების, მასთან დაკავშირებული გარიგებებისა და ბანკის მიერ გამოქვეყნებული ტარიფების შესაბამისად.
8. ფიზიკურ პირებს საშუალება აქვთ მიიღონ ბანკის საგადახდო მომსახურება, როგორც ერთჯერადი საგადახდო ოპერაციების (საბანკო ანგარიშების გაუხსნელად), ისე საბანკო ანგარიშების გახსნის გზით. მეწარმე სუბიექტებისთვის კი საგადახდო მომსახურების მისაღებად სავალდებულოა საბანკო ანგარიშების გახსნა.
9. ერთჯერადი საგადახდო ოპერაციების შესრულება წარმოებს გადამხდელი ფიზიკური პირის მიერ პროვაიდერისათვის გადაცემული ნაღდი თანხის ფარგლებში, აღნიშნული თანხის ამ ფიზიკური პირის ანგარიშზე ჩარიცხვის გარეშე. აღნიშნული ოპერაციისას პროვაიდერისთვის გადაცემული ნაღდი თანხის ოდენობა არის გადახდის ოპერაციის (ოპერაციების) თანხისა და საკომისიოს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ჯამი (პროვაიდერი არის კომუნალური, საკომუნიკაციო და სხვა სახის მომსახურების მომწოდებელი კომპანია, რომლის მომსახურების გადასახადსაც იხდის პირი). ერთჯერადი საგადახდო ოპერაციების შესრულებაზე კანონმდებლობით დადგენილია ლიმიტი - 1500 ლარის ოდენობით. კონკრეტულ შემთხვევებში დაშვებულია გამონაკლისებიც. გამონაკლისები დაიშვება თუ ოპერაციის დანიშნულება არის საყოფაცხოვრებო გადასახადის, სამედიცინო მომსახურების გადასახადის ან სწავლების საფასურის გადახდა ან თუ გადახდის ოპერაციის თანხის მიმღები არის სახელმწიფო ხაზინა ან სხვა ადმინისტრაციული ორგანო. ერთჯერადი საგადახდო ოპერაციების შესრულებისთვის საჭირო დეტალური ინფორმაცია და გამონაკლისები ხელმისაწვდომია ბანკის ფილიალებში.

10. ერთჯერადი საგადახდო მომსახურების სახით ფიზიკურ პირებს ასევე საშუალება აქვთ ისარგებლონ ბანკში მოქმედი სხვადასხვა ფულადი გზავნილების სისტემით. ბანკში მოქმედი ფულადი გზავნილების შესახებ დეტალური ინფორმაცია ხელმისაწვდომია როგორც ბანკის ვილიალებში, ისე ვებ გვერდზე: [www.halykbank.ge](http://www.halykbank.ge)
11. საგადახდო ოპერაციების შესრულება შესაძლებელია სხვა პირის მაგივრადაც, თუმცა შეზღუდვებია სხვა მეწარმე პირის მაგივრად გადარიცხვის შესრულებაზე. სხვა მეწარმე პირის მაგივრად დაიშვება მხოლოდ ისეთი საკრედიტო გადახდის ოპერაციები სადაც გადახდის ოპერაციის თანხის მიმღები არის სახელმწიფო ხაზინა ან სხვა სახელმწიფო ორგანო. სხვა ფიზიკური პირის მაგივრად/სასარგებლოდ გადახდის ოპერაციის თანხა თუ აღემატება 1500 ლარს ან მის ექვივალენტს უცხოურ ვალუტაში, სავალდებულოა ამ პირის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის/მისი ასლის ბანკში წარმოდგენა. ასეთი საგადახდო ოპერაციების შესრულებისთვის საჭირო დამატებითი დეტალები ხელმისაწვდომია ბანკის ვილიალებში.
12. საბანკო ანგარიში (შემდგომში ანგარიში) არის პირის სახელზე ბანკში გახსნილი მიმდინარე/საბარათე/ნომინალური მფლობელობის და სხვა სახის ანგარიში, რომლიდანაც კანონმდებლობით დაშვებულია გადამხდელის თანხმობით გადახდის ოპერაციის განხორციელება.
13. ფიზიკურმა პირმა ბანკში ანგარიშის გასახსნელად უნდა წარმოადგინოს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი, ხოლო იურიდიულმა პირმა დოკუმენტები კლიენტის საგადასახადო/სამეწარმეო სტატუსის შესაბამისად(ანგარიშის გასახსნელად საჭირო დოკუმენტების ჩამონათვალი ხელმისაწვდომია ბანკის ვილიალებში ან დისტანციურად, ნებისმიერ საკომუნიკაციო საშუალებით კლიენტის მოთხოვნის საფუძველზე).
14. ანგარიშის გასახსნელად კლიენტმა ბანკს უნდა მიმართოს განაცხადით და წარუდგინოს საქართველოს უფლებამოსილი ორგანოებისა და ბანკის შიდა ნორმატიული სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული დოკუმენტები. თუ პირს უკვე გახსნილი აქვს ანგარიშები ბანკში, მისი წინასწარი წერილობითი თანხმობის საფუძველზე, შესაძლებელია დამატებითი ანგარიშების გახსნა დისტანციურად (ინტერნეტ ბანკის ან სხვა საინფორმაციო-საკომუნიკაციო საშუალებით) მიღებული განაცხადის საფუძველზე.
15. პირისთვის ანგარიშის გახსნა ასევე დასაშვებია ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობის საფუძველზე.
16. გადახდის ოპერაცია არის გადამხდელის ან მიმღების მიერ ინიცირებული ფულადი სახსრების განთავსების/ჩარიცხვის, გადარიცხვის ან გატანის ოპერაცია.
17. ბანკი გადახდის ოპერაციას ასრულებს როგორც კლიენტის მიერ ინიცირებული საკრედიტო საგადახდო დავალების საფუძველზე, ისე მიმღების მიერ ინიცირებული (კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში) სადებეტო საგადახდო დავალების საფუძველზე.
18. ბანკი კლიენტის ანგარიშიდან ყველა სახის გასავლის ოპერაციას ახორციელებს ანგარიშზე არსებული თანხის ფარგლებში, ამ ოპერაციის შესრულებისათვის საჭირო ბანკის საკომისიო თანხის გათვალისწინებით (ბანკის ტარიფების შესაბამისად). ამასთან, გასავლის ოპერაცია არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს კანონმდებლობის და/ან ბანკის მიერ დადგენილ მოთხოვნებს. ანგარიშზე ოვერდრაფტი დაიშვება მხოლოდ კლიენტსა და ბანკს შორის წერილობითი და/ან ელექტრონული ფორმით დადებული შეთანხმების საფუძველზე.
19. ბანკში კლიენტების მომსახურებისათვის დადგენილია საოპერაციო საათები: საბანკო დღეებში 10:00-დან 17:45 სთ-მდე, ხოლო შაბათ დღეს - 10:00-დან 13:45 სთ-მდე. ამ პერიოდში ბანკი ახორციელებს კლიენტთა საგადახდო დავალებების მიღებას. ბანკის დისტანციურ არხებში ჩართულ კლიენტებს კი საშუალება ეძლევათ 24 სთ-ის განმავლობაში ნებისმიერ დღეს გამოაგზავნონ ბანკში საგადახდო დავალებები.
20. ბანკი საგადახდო დავალების შესრულებას უზრუნველყოფს საგადახდო დავალების ბანკისთვის წარდგენიდან 2 (ორი) საბანკო დღის ვადაში, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა. კლიენტთა საგადახდო დავალებების შესასრულებლად ბანკში დადგენილია საანგარიშსწორებო პერიოდი. ამ პერიოდის შემდეგ და არასაბანკო დღეს მიღებული დავალებები ჩაითვლება მომდევნო საბანკო დღეს მიღებულად.

21. საანგარიშსწორებო პერიოდის ხანგრძლივობა დამოკიდებულია გადახდის ოპერაციის განხორციელებაში მონაწილე ყველა საგადახდო ან შეტყობინებების გაცვლის სისტემების მუშაობის წესებზე.
22. იმ შემთხვევაში თუ გადახდის ოპერაცია სრულდება ქვეყნის შიგნით ეროვნულ ვალუტაში, საბანკო დღის 17:30 სთ-მდე მიღებული ბანკის გარეთ გამავალი გადარიცხვები და საბანკო დღის 18:00 სთ-მდე მიღებული ბანკის კლიენტებს შორის გადარიცხვები სრულდება იმავე საბანკო დღეს. გამონაკლის შემთხვევებში, ბანკი იტოვებს უფლებას ბანკის გარეთ გამავალი გადარიცხვები ეროვნულ ვალუტაში შეასრულოს საგადახდო დავალების მიღებიდან არაუგვიანეს მომდევნო საბანკო დღისა.
23. იმ შემთხვევაში თუ გადახდის ოპერაცია სრულდება უცხოურ ვალუტაში, საბანკო დღის 17:30 სთ-მდე მიღებული ბანკის კლიენტებს შორის გადარიცხვები (შიდა საბანკო) და საბანკო დღის 14:30 სთ-მდე მიღებული ბანკის გარეთ გამავალი გადარიცხვები (ქვეყნის შიგნით თუ ქვეყნის გარეთ) სრულდება იმავე საბანკო დღეს. გამონაკლის შემთხვევებში, ბანკი იტოვებს უფლებას ბანკის გარეთ გამავალი გადარიცხვები უცხოურ ვალუტაში შეასრულოს საგადახდო დავალების მიღებიდან 2 (ორი) საბანკო დღის ვადაში.
24. ბანკის მიერ გადარიცხული თანხების მიმღების ანგარიშზე ასახვა დამოკიდებულია მიმღების ბანკის მუშაობის სპეციფიკაზე. იმ შემთხვევაში თუ გადახდის ოპერაციის განხორციელებაში დამატებით მონაწილეობს უცხოური ბანკი (ბანკები), მიმღების ანგარიშზე თანხების ასახვა დამატებით დამოკიდებულია ამ ოპერაციის შესრულებაში მონაწილე უცხოური შუამავალი ბანკების სამუშაო რეჟიმსა და სპეციფიკაზე. აქედან გამომდინარე, ბანკი არ არის პასუხისმგებელი იმ ვადაზე, რომელიც შესაძლებელია დასჭირდეს მიმღების ბანკს გადარიცხული თანხის მიღებასა და მიმღების ანგარიშზე ასახვისათვის.
25. ბანკი ასევე იხსნის პასუხისმგებლობას იმ გადახდის ოპერაციის ვალდებულების შეუსრულებლობისათვის, რომელიც გამოწვეულია კლიენტის მიერ თანხის მიმღები პირის არასწორი რეკვიზიტების წარმოდგენით. ასევე, გადახდის ოპერაციის განხორციელებაში მონაწილე მიმღები/შუამავალი ბანკის ნებისმიერი ქმედებით, მიმღები/შუამავალი ბანკის მიერ ოპერაციის შესრულებაზე უარის თქმით, მიმღების/შუამავალი ბანკის სახელმწიფოში ან სახელმწიფოსთვის დაწესებული ემბარგოს/აკრძალვის შედეგად და სხვა, ბანკისგან დამოუკიდებელი მიზეზებით.
26. გადახდის ოპერაციის შესრულებასთან დაკავშირებული ბანკის კუთვნილი საკომისიოს ოდენობის დაანგარიშება წარმოებს გადახდის ოპერაციის თანხიდან. ტარიფები დადგენილია ბანკის მიერ და ხელმისაწვდომია როგორც ბანკის ფილიალებში, ისე ვებ გვერდზე: [www.halykbank.ge](http://www.halykbank.ge)
27. იმ შემთხვევაში თუ გადახდის ოპერაციის განხორციელებაში მონაწილეობს უცხოური შუამავალი ბანკი, ან გადარიცხული თანხის მიმღების ბანკი არის უცხოური ბანკი, შესაძლოა გადახდის ოპერაციის შესრულებაზე და/ან მიმღების ანგარიშზე თანხის ჩარიცხვაზე ამ ბანკებს ჰქონდეთ დადგენილი გარკვეული საკომისიოები, რომლის დაკავებაც მოხდება გადარიცხული თანხიდან და მიმღები მიიღებს უცხოური შუამავალი ბანკის და/ან მიმღების ბანკის მიერ დაკავებული საკომისიოს ოდენობით ნაკლებ თანხას. გადარიცხვის შესრულებაში მონაწილე შუამავალი და/ან მიმღები უცხოური ბანკების ტარიფები ბანკისთვის უცნობია. აქედან გამომდინარე, ბანკი არ არის პასუხისმგებელი გადარიცხული თანხებიდან უცხოური ბანკების მიერ საკომისიოს დაკავების შემთხვევებზე. ბანკს შესაძლებლობა აქვს დამატებითი საკომისიოს გადახდის შემთხვევაში, შესთავაზოს კლიენტებს უცხოურ ვალუტაში გადარიცხული თანხის მიმღების ანგარიშზე სრულად ჩარიცხვის პირობით შესრულება (ე.წ. გარანტირებული გადარიცხვა), თუმცა ასეთ შემთხვევებში შეზღუდულია ვალუტის სახეობა და მიმღები ბანკი. მიმღების ანგარიშზე სრულად ჩარიცხვის პირობით შესრულებისთვის საჭირო დამატებითი დეტალები ხელმისაწვდომია ბანკის ფილიალებში.
28. ბანკი კლიენტის გადარიცხვის ოპერაციის შესახებ დავალებას შესასრულებლად იღებს იმ შემთხვევაში, თუ იგი მოიცავს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ აუცილებელ რეკვიზიტებს. ბანკი უფლებამოსილია ასევე დამატებით განსაზღვროს სხვა რეკვიზიტებიც, რომელიც შესაძლებელია დამახასიათებელი იყოს და გამომდინარეობდეს საგადახდო დავალების ტიპიდან გამომდინარე. აღნიშნული მოთხოვნები და გადახდის ოპერაციის შესრულებისთვის აუცილებელი რეკვიზიტები ხელმისაწვდომია კლიენტისთვის ბანკის ფილიალებში.

29. ბანკი უფლებამოსილია არ მიიღოს შესასრულებლად დავალება და/ან უარი განაცხადოს დავალების შესრულებაზე, თუ:
- თუ დავალება არ შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს და/ან ბანკში მოქმედ წესებსა და პროცედურებს, მ.შ. მოკორესპონდენტო ბანკის მიერ ბანკისათვის დადგენილ მოთხოვნებსა და პირობებს;
  - თუ დავალება შეიცავს არაზუსტ ინფორმაციას;
  - თუ დავალების შესრულებისათვის ანგარიშზე არსებული თანხა, საკომისიოს ჩათვლით, არ არის საკმარისი დავალების შესასრულებლად;
  - თუ ოპერაციის თანხა ან მისი ნაწილი აჭარბებს ოპერაციების შესრულებაზე ბანკის მიერ დადგენილ დღიურ ან სხვა სახის ლიმიტს;
  - თუ ოპერაციის განხორციელებისათვის საჭირო თანხა ან მისი ნაწილი დაბლოკილია;
  - ანგარიშზე არსებული თანხები ექვემდებარება საჯარო სამართლებრივ შეზღუდვას;
  - თუ ბანკს აქვს ეჭვი, რომ ადგილი აქვს თაღლითობას ან უკანონო ქმედებას;
  - თუ არსებობს სხვა ისეთი ხარვეზი/გარემოება რომელიც შეუძლებელს ხდის დავალების შესრულებას;
  - თუ ბანკს არ მიუღია დავალება.
30. ბანკი უფლებამოსილია საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვის შემოწმების მიზნით მოთხოვოს კლიენტს დამატებითი ინფორმაცია და დოკუმენტები, მიმდინარე ოპერაციასთან დაკავშირებით.
31. კლიენტის მიერ ინიცირებული საგადახდო დავალება, თუ იგი შესრულებულია ბანკის ფილიალებში, აუცილებელია გაფორმდეს კლიენტისა და ბანკის ხელმოწერებით. ელექტრონული საგადახდო დავალების შემთხვევაში დავალებაზე ხელმოწერები არ კეთდება. კლიენტის მიერ ინტერნეტ ბანკის სისტემის მეშვეობით გენერირებული ელექტრონული საგადახდო დავალება კლიენტის მიერ დასტურდება სისტემის მეშვეობით და ტოლფასია ქალაქის მატარებელზე დატანილ კლიენტის ხელმოწერისა.
32. კლიენტის ანგარიშზე ჩარიცხული თანხის ასახვას ბანკი უზრუნველყოფს არაუგვიანეს 3 (სამი) სამუშაო დღისა, იმ პირობით, თუ ოპერაცია არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობისა და/ან ბანკის შიდა წესებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. აღნიშნული ვადა შესაძლებელია გაიზარდოს ბანკის შეხედულებისამებრ, ისეთ შემთხვევებში, თუ ოპერაციის კანონიერების ან ბანკის მოთხოვნებთან შესაბამისობის შესამოწმებლად საჭიროა დამატებითი დოკუმენტაცია და/ან ინფორმაცია.
33. კლიენტს საშუალება აქვს განახორციელოს ვალუტის გადაცვლის (კონვერტაციის) ოპერაციები როგორც თავისი საბანკო ანგარიშების მეშვეობით, ისე ბანკისათვის გადაცემული ნაღდი ფულის ფარგლებში.
34. ვალუტის გადაცვლას ბანკი ახორციელებს ვალუტის გადაცვლის მომენტისათვის ბანკის მიერ დადგენილი კომერციული კურსით.
35. კლიენტს საშუალება აქვს მიიღოს ინფორმაცია ვალუტის კურსების შესახებ როგორც ბანკის ფილიალებში, ისე ბანკის ვებ-გვერდზე და ინტერნეტ ბანკით (ამ მომსახურებით სარგებლობის შემთხვევაში).
36. ბანკი ფიზიკური და იურიდიული პირების საგადახდო მომსახურებას ასევე ახორციელებს საგადახდო ინსტრუმენტების მეშვეობით. ბანკში მოქმედ საგადახდო ინსტრუმენტებით მომსახურების პროდუქტებს, სახეებს, პირობებს და ფორმებს დამოუკიდებლად და ცალმხრივ რეჟიმში განსაზღვრავს ბანკი, რომელიც კლიენტის მიერ ამ მომსახურებით სარგებლობის საკითხს იხილავს და წყვეტს კლიენტის განცხადების საფუძველზე.
37. საგადახდო ინსტრუმენტებით მომსახურების პროდუქტების, მათი სახეების, მოქმედების ვადის და სხვა პირობების შესახებ დეტალური ინფორმაცია ხელმისაწვდომია როგორც ბანკის ფილიალებში, ისე ვებ გვერდზე: [www.halykbank.ge](http://www.halykbank.ge)
38. კლიენტის ანგარიშზე განხორციელებული გადახდის ოპერაციების შესახებ სრული ინფორმაცია, მათ შორის გადახდილი საკომისიოების შესახებ, კლიენტისათვის ხელმისაწვდომია ბანკის ფილიალებში



(და/ან ინტერნეტ ბანკიდან) ანგარიშიდან ამონაწერის ან/და საგადახდო საბუთის ასლის მიწოდებით ან ცნობის სახით. ასეთი დოკუმენტების ფორმა და პირობები განისაზღვრება ბანკის მიერ.

39. ბანკი უფლებამოსილია უარი განაცხადოს მომსახურების გაწევაზე თუ კლიენტმა ხელი არ მოაწერა განაცხადს ან არ მიაწოდა ბანკს მის მიერ მოთხოვნილი რომელიმე დოკუმენტი ან ინფორმაცია. ამასთან, ბანკს უფლება აქვს საკუთარი შეხედულებისამებრ, არ მიიღოს განაცხადი და/ან უარი უთხრას კლიენტს მომსახურების გაწევაზე მიზეზის დაუკონკრეტებლად.
40. ბანკი უფლებამოსილია დამოუკიდებლად და ცალმხრივ რეჟიმში დაადგინოს, მათ შორის შეცვალოს საბანკო ანგარიშის წარმოების და გადახდის ოპერაციის შესრულების წესები და პირობები (მათ შორის ტარიფები), რომლის თაობაზე კლიენტს ეცნობება ბანკის ვებ-გვერდზე ([www.halykbank.ge](http://www.halykbank.ge)) გამოქვეყნების გზით და/ან ბანკში დაფიქსირებულ კომუნიკაციის ერთ-ერთი რომელიმე საშუალების გამოყენებით ცვლილებების ამოქმედებამდე ერთი თვით ადრე. ინფორმაციის გამოქვეყნების ვალდებულება არ ვრცელდება ისეთ შემთხვევებზე, როდესაც ხორციელდება საგადახდო მომსახურების საკომისიოს ოდენობის ცვლილება კლიენტის სასარგებლოდ.
41. ბანკის მიერ განხორციელებული ნებისმიერი სახის ცვლილება ჩაითვლება კლიენტთან შეთანხმებულად, თუ იგი ცვლილებების ძალაში შესვლამდე არ შეატყობინებს ბანკს რომ არ ეთანხმება ამ ცვლილებას.